



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 9 21 0001268103



25/11/2021

**„პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №408413 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 18 ნოემბრის №1241649 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №408413 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“:

**ა) მე-3 მუხლის:**

**ა.ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. ექსპერტი არ შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი დასაქმებულია განათლების სისტემაში.“;

**ა.ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:**

„7. ექსპერტი ვალდებულია ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოების ან/და ექსპერტის სტატუსთან ამ წესით განსაზღვრული სხვა შეუსაბამო გარემოების დადგომის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის თაობაზე.“;

**ბ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. დარგის ექსპერტის შერჩევისას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ცოდნის, უნარის/პიროვნული თვისებების/კომპეტენციის ქონა დასტურდება კანდიდატის რეზიუმეთი.“;

**გ) მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. სერტიფიცირებული სტატუსის მქონე პირის მიმართ ამ წესის მე-3 მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების ან/და ექსპერტის სტატუსთან ამ წესით განსაზღვრული სხვა შეუსაბამო გარემოების დადგენის შემთხვევაში, განცხადების წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში ცენტრი უარს აცხადებს პირის ექსპერტთა კორპუსში შეყვანაზე, აღნიშნული გარემოების აღმოფხვრამდე და წერილობით აცნობებს განმცხადებელს.“.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
დირექტორი  
მახარაშვილი თამარ

